საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

17 დეკემბერი, 2018 წელი **ქ. თბილისი**

მოსამართლე — მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

დისციპლინური საქმე №28/18

-- -- 2018 წლის 07 თებერვლის №-- - -- საჩივრების საფუძველზე, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[5] მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75[6] მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

წინასწარი შემოწმების შედეგად 2018 წლის 15 ნოემბერს მომზადებული №28/18 დასკვნა დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წარდგენილ იქნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 17 დეკემბრის სადისციპლინო სხდომაზე განსახილველად.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივრებში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

1.1. №28 საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ მოსამართლე -- -- წარმოებაშია განცხადება -- რაიონული სასამართლოს 1999 წლის 22 ივნისის დადგენილების განმარტების თაობაზე. განცხადება სასამართლოს მიერ მიღებულ იქნა 2017 წლის 25 სექტემბერს და მეხუთე თვეა სასამართლოს წარმოებაშია. საქმეზე არ არის მიღებული არანაირი გადაწყვეტილება და უცნობია რა სტადიაშია აღნიშნული საქმის განხილვა.

1.2. №29 საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ მოსამართლე -- -- წარმოებაშია განცხადება -- რაიონული სასამართლოს 1999 წლის 05 თებერვლის დადგენილების განმარტების თაობაზე. განცხადება სასამართლოს მიერ მიღებულ იქნა 2017 წლის 25 სექტემბერს და მეხუთე თვეა სასამართლოს წარმოებაშია. საქმეზე არ არის მიღებული არანაირი გადაწყვეტილება და უცნობია რა სტადიაშია აღნიშნული საქმის განხილვა.

1.3. №30 საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ მოსამართლე -- -- 2017 წლის 25 აგვისტოს

განჩინებაზე შეიტანა კერძო საჩივარი 2017 წლის 19 სექტემბერს. მიუხედავად ხუთი თვის გასვლისა საქმე არ არის გადაგზავნილი სააპელაციო სასამართლოში.

1.4. №31 საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ მოსამართლე -- -- წარმოებაშია განცხადება -- რაიონული სასამართლოს 2000 წლის 15 თებერვლის განჩინების განმარტების თაობაზე. განცხადება სასამართლოს მიერ მიღებულ იქნა 2017 წლის 25 სექტემბერს და მეხუთე თვეა სასამართლოს წარმოებაშია. საქმეზე არ არის მიღებული არანაირი გადაწყვეტილება და უცნობია რა სტადიაშია აღნიშნული საქმის განხილვა.

1.5. №32 საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ მოსამართლე -- -- წარმოებაშია განცხადება -- რაიონული სასამართლოს 2000 წლის 23 მარტის გადაწყვეტილების განმარტების თაობაზე. განცხადება სასამართლოს მიერ მიღებულ იქნა 2017 წლის 25 სექტემბერს და მეხუთე თვეა სასამართლოს წარმოებაშია. საქმეზე არ არის მიღებული არანაირი გადაწყვეტილება და უცნობია რა სტადიაშია აღნიშნული საქმის განხილვა.

1.6. №33 საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ მოსამართლე -- -- წარმოებაშია განცხადება -- რაიონული სასამართლოს 1999 წლის 05 თებერვლის განჩინების სათანადოდ დამოწმებული ასლის გაცემის თაობაზე. განცხადება სასამართლოს მიერ მიღებულ იქნა 2017 წლის 25 სექტემბერს და მეხუთე თვეა სასამართლოს წარმოებაშია. საქმეზე არ არის მიღებული არანაირი გადაწყვეტილება და უცნობია რა სტადიაშია აღნიშნული საქმის განხილვა.

1.7. №34 საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ მოსამართლე -- -- წარმოებაშია განცხადება -- რაიონული სასამართლოს 1999 წლის 22 ივნისის დადგენილების სათანადოდ დამოწმებული ასლის გაცემის თაობაზე. განცხადება სასამართლოს მიერ მიღებულ იქნა 2017 წლის 25 სექტემბერს და მეხუთე თვეა სასამართლოს წარმოებაშია. საქმეზე არ არის მიღებული არანაირი გადაწყვეტილება და არ არის გაცემული სათანადო წესით დამოწმებული ასლი.

1.8. №35 საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ მოსამართლე -- -- წარმოებაშია განცხადება -- რაიონული სასამართლოს 2000 წლის 15 თებერვლის განჩინების სათანადო წესით დამოწმებული ასლის გაცემის თაობაზე. განცხადება სასამართლოს მიერ მიღებულ იქნა 2017 წლის 25 სექტემბერს და მეხუთე თვეა სასამართლოს წარმოებაშია. საქმეზე არ არის მიღებული არანაირი გადაწყვეტილება და არ არის გაცემული სათანადო წესით დამოწმებული ასლი.

1.9. №36 საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ მოსამართლე -- -- წარმოებაშია განცხადება -- რაიონული სასამართლოს 2000 წლის 23 მარტის გადაწყვეტილების სათანადო წესით დამოწმებული ასლის გაცემის თაობაზე. განცხადება სასამართლოს მიერ მიღებულ იქნა 2017 წლის 25 სექტემბერს და მეხუთე თვეა სასამართლოს წარმოებაშია. საქმეზე არ არის მიღებული არანაირი გადაწყვეტილება და არ არის გაცემული სათანადო წესით დამოწმებული ასლი.

1.10. №37 საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ მოსამართლე -- -- 2017 წლის 05 სექტემბრის განჩინებაზე შეიტანა კერძო საჩივარი 2017 წლის 19 სექტემბერს. მიუხედავად ხუთი თვის გასვლისა საქმე არ არის გადაგზავნილი სააპელაციო სასამართლოში.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი იქნა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2.1. 2015 წლის 04 ივნისს -- საქალაქო სასამართლოს მიმართა შპს ,,-- -- --“ წარმომადგენელმა და მოითხოვა კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაცემა ქ. -- -- რაიონული სასამართლოს №2/--- -00 საქმეზე (შპს ,,-- -- --“ გაკოტრების საქმე).

-- საქალაქო სასამართლოს კანცელარიის განყოფილების უფროსის 2015 წლის 03 ივლისის მოხსენებითი ბარათის თანახმად, შპს ,,-- -- -- “-ს გაკოტრების საქმის გამოთხოვის შედეგად გაირკვა, რომ საქმეზე -- საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2000 წლის 20 ოქტომბრის განჩინებით გაუქმდა -- -- რაიონული სასამართლოს 2000 წლის 23 მარტის გადაწყვეტილება და საქმე განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს, რაზეც შემდგომი გადაწყვეტილება არ არის მიღებული.

2.1.1. -- -- წარმომადგენელმა -- -- 2017 წლის 26 სექტემბერს განცხადებით მიმართა -- საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას, რომლითაც ითხოვდა -- რაიონული სასამართლოს 1999 წლის 22 ივნისის დადგენილების განმარტებას.

-- -- 2018 წლის 07 თებერვალს განცხადებით მიმართა -- საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლეს -- --. განმცხადებელი აღნიშნავს, რომ მეხუთე თვეა სასამართლოს წარმოებაშია მისი განცხადება 25/09/2017 -- რაიონული სასამართლოს 1999 წლის 22 ივნისის დადგენილების განმარტების თაობაზე.

2.1.2. -- -- წარმომადგენელმა -- -- 2017 წლის 26 სექტემბერს განცხადებით მიმართა -- საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას, რომლითაც ითხოვდა -- რაიონული სასამართლოს 1999 წლის 05 თებერვლის დადგენილების განმარტებას.

-- -- 2018 წლის 07 თებერვალს განცხადებით მიმართა -- საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლეს -- --. განმცხადებელი აღნიშნავს, რომ მეხუთე თვეა სასამართლოს წარმოებაშია მისი განცხადება 25/09/2017 -- რაიონული სასამართლოს 1999 წლის 05 თებერვლის დადგენილების განმარტების თაობაზე.

მოსამართლე -- -- 2018 წლის 13 თებერვლის განჩინებით, არ დაკმაყოფილდა -- -- მოთხოვნა -- რაიონული სასამართლოს 1999 წლის 05 თებერვლის განჩინების განმარტების თაობაზე.

2.1.3. -- საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 25 აგვისტოს განჩინებით, გაუქმდა -- საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 07 აგვისტოს განჩინება -- -- შპს ,,-- -- --“-ს გაკოტრების მმართველად დანიშვნის თაობაზე, რაც

-- -- მიერ 2017 წლის 19 სექტემბერს გასაჩივრდა კერძო საჩივრით.

მოსამართლე -- -- მიერ 2018 წლის 22 იანვარს მიღებულ იქნა განჩინება, დაუსაბუთებლობის გამო, კერძო საჩივრის განჩინების მიღებიდან 05 დღის ვადაში -- სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში გადაგზავნის შესახებ.

-- -- 2018 წლის 24 იანვარს განცხადებით მიმართა -- საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას, რომლითაც ითხოვდა კერძო საჩივრის გადაგზავნას -- სააპელაციო სასამართლოში.

-- -- 2017 წლის 19 სექტემბრის კერძო საჩივრები -- სააპელაციო სასამართლოში გადაიგზავნა 2018 წლის 28 ივნისს, საქმის საქართველოს უზენაესი სასამართლოდან დაბრუნების შემდგომ (გადაგზავნის დრო - 09/02/2018, დაბრუნების დრო - 18/06/2018).

-- სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 09 ივლისის განჩინებით, არ დაკმაყოფილდა -- -- კერძო საჩივარი და უცვლელად დარჩა -- საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 25 აგვისტოს განჩინება.

2.1.4. -- -- წარმომადგენელმა -- -- 2017 წლის 26 სექტემბერს განცხადებით მიმართა -- საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას, რომლითაც ითხოვდა -- რაიონული სასამართლოს 2000 წლის 15 თებერვლის განჩინების განმარტებას.

-- -- 2018 წლის 07 თებერვალს განცხადებით მიმართა -- საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლეს -- --. განმცხადებელი აღნიშნავს, რომ მეხუთე თვეა სასამართლოს წარმოებაშია მისი განცხადება 25/09/2017 -- რაიონული სასამართლოს 2000 წლის 15 თებერვლის განჩინების განმარტების თაობაზე.

2.1.5. -- -- წარმომადგენელმა -- -- 2017 წლის 26 სექტემბერს განცხადებით მიმართა -- საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას, რომლითაც ითხოვდა -- რაიონული სასამართლოს 2000 წლის 23 მარტის გადაწყვეტილების განმარტებას.

-- -- 2018 წლის 07 თებერვალს განცხადებით მიმართა -- საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლეს -- --. განმცხადებელი აღნიშნავს, რომ მეხუთე თვეა სასამართლოს წარმოებაშია მისი განცხადება 25/09/2017 -- რაიონული სასამართლოს 2000 წლის 23 მარტის გადაწყვეტილების განმარტების თაობაზე.

მოსამართლე -- -- 2018 წლის 13 თებერვლის განჩინებით, არ დაკმაყოფილდა -- -- მოთხოვნა -- რაიონული სასამართლოს 2000 წლის 23 მარტის გადაწყვეტილების განმარტების თაობაზე.

2.1.6. -- -- წარმომადგენელმა -- -- 2017 წლის 26 სექტემბერს განცხადებით მიმართა -- საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას, რომლითაც ითხოვდა -- რაიონული სასამართლოს 1999 წლის 05 თებერვლის განჩინების სათანადო წესით დამოწმებული ასლის

გაცემას.

-- -- 2018 წლის 07 თებერვალს განცხადებით მიმართა -- საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლეს -- --. განმცხადებელი აღნიშნავს, რომ მეხუთე თვეა სასამართლოს წარმოებაშია მისი განცხადება 25/09/2017 -- რაიონული სასამართლოს 1999 წლის 05 თებერვლის განჩინების სათანადო წესით დამოწმებული ასლის გაცემის თაობაზე.

2.1.7. -- -- წარმომადგენელმა -- -- 2017 წლის 26 სექტემბერს განცხადებით მიმართა -- საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას, რომლითაც ითხოვდა -- რაიონული სასამართლოს 1999 წლის 22 ივნისის დადგენილების სათანადო წესით დამოწმებული ასლის გაცემას.

-- -- 2018 წლის 07 თებერვალს განცხადებით მიმართა -- საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლეს -- --. განმცხადებელი აღნიშნავს, რომ მეხუთე თვეა სასამართლოს წარმოებაშია მისი განცხადება 25/09/2017 -- რაიონული სასამართლოს 1999 წლის 22 ივნისის დადგენილების სათანადო წესით დამოწმებული ასლის გაცემის თაობაზე.

2.1.8. -- -- წარმომადგენელმა -- -- 2017 წლის 26 სექტემბერს განცხადებით მიმართა -- საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას, რომლითაც ითხოვდა -- რაიონული სასამართლოს 2000 წლის 15 თებერვლის გადაწყვეტილების სათანადო წესით დამოწმებული ასლის გაცემას.

-- -- 2018 წლის 07 თებერვალს განცხადებით მიმართა -- საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლეს -- --. განმცხადებელი აღნიშნავს, რომ მეხუთე თვეა სასამართლოს წარმოებაშია მისი განცხადება 25/09/2017 -- რაიონული სასამართლოს 2000 წლის 15 თებერვლის გადაწყვეტილების სათანადო წესით დამოწმებული ასლის გაცემის თაობაზე.

2.1.9. -- -- წარმომადგენელმა -- -- 2017 წლის 26 სექტემბერს განცხადებით მიმართა -- საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას, რომლითაც ითხოვდა -- რაიონული სასამართლოს 2000 წლის 23 მარტის გადაწყვეტილების სათანადო წესით დამოწმებული ასლის გაცემას.

-- -- 2018 წლის 07 თებერვალს განცხადებით მიმართა -- საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლეს -- --. განმცხადებელი აღნიშნავს, რომ მეხუთე თვეა სასამართლოს წარმოებაშია მისი განცხადება 25/09/2017 -- რაიონული სასამართლოს 2000 წლის 23 მარტის გადაწყვეტილების სათანადო წესით დამოწმებული ასლის გაცემის თაობაზე.

2.1.10. -- საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 05 სექტემბრის განჩინებით, განმცხადებელს შპს ,,-- -- -- -- - -- --“-ს დაუდგინდა ხარვეზი, რაც -- -- კერძო საჩივრით გაასაჩივრა 2017 წლის 19 სექტემბერს.

მოსამართლე -- -- მიერ 2018 წლის 22 იანვარს მიღებულ იქნა განჩინება, დაუსაბუთებლობის გამო, კერძო საჩივრის განჩინების მიღებიდან 05 დღის ვადაში -- სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში გადაგზავნის შესახებ.

-- -- 2018 წლის 24 იანვარს განცხადებით მიმართა -- საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას, რომლითაც ითხოვდა კერძო საჩივრის გადაგზავნას -- სააპელაციო სასამართლოში.

-- -- 2017 წლის 19 სექტემბრის კერძო საჩივრები -- სააპელაციო სასამართლოში გადაიგზავნა 2018 წლის 28 ივნისს, საქმის საქართველოს უზენაესი სასამართლოდან დაბრუნების შემდგომ (გადაგზავნის დრო - 09/02/2018, დაბრუნების დრო - 18/06/2018).

-- სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 09 ივლისის განჩინებით, არ დაკმაყოფილდა -- -- კერძო საჩივარ და უცვლელად დარჩა -- საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 05 სექტემბრის განჩინება.

2.2. -- საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლე -- -- თანაშემწის 2018 წლის 13 თებერვლის წერილით, სასამართლო გადაწყვეტილებების სათანადოდ დამოწმებული ასლების გაცემასთან დაკავშირებით, 2017 წლის 26 სექტემბრის და 2018 წლის 07 თებერვლის განცხადებების პასუხად -- -- ეცნობა, რომ 2017 წლის 07 აგვისტოს იგი გაეცნო და გადაიღო საქმის მასალების ასლები, შესაბამისად, იგივე წესით შეუძლია მივიდეს სასამართლოში და გადაიღოს მისთვის სასურველი დოკუმენტების ასლები.

2.3. -- სააპელაციო სასამართლოს ადამიანური რესურსების მართვისა და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის 2018 წლის 08 თებერვლის მიმართვის თანახმად, -- სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის წარმოებაშია -- -- განცხადება -- საოლქო სასამართლოს 20/10/2000 წლის განჩინების განმარტების თაობაზე. ზემოაღნიშნული განცხადების განხილვის მიზნით, გამოთხოვილია საქმე მოსამართლე -- --.

-- სააპელაციო სასამართლოს ადამიანური რესურსების მართვისა და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის 2018 წლის 10 მაისის მიმართვით, მოსამართლე -- -- განმეორებით იქნა გამოთხოვილი სამოქალაქო საქმე. აღნიშნული მიმართვის პასუხად, მოსამართლე -- -- თანაშემწის 2018 წლის 28 მაისის წერილში მითითებულია, რომ სამოქალაქო საქმე №2/-- -15 შესაბამისი მომართვის საფუძველზე გადაგზავნილია საქართველოს უზენაეს სასამართლოში და ჯერ არ დაბრუნებულა -- საქალაქო სასამართლოში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 09 თებერვლის მიმართვით, შემხვედრი საჭიროების გამო, სამოქალაქო საქმე №2/-- -15 გამოთხოვილია -- საქალაქო სასამართლოდან.

2018 წლის 09 თებერვლის მომართვის საფუძველზე, -- საქალაქო სასამართლოდან სამოქალაქო საქმე №2/ -- -15 გადაიგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

საქმე -- საქალაქო სასამართლოში დაბრუნდა 2018 წლის 18 ივნისს.

-- საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლე -- -- თანაშემწის 2018 წლის 28 ივნისის მიმართვით, -- საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 22 იანვრის განჩინების და -- სააპელაციო სასამართლოს მომართვების საფუძველზე, სამოქალაქო საქმე №2/-- -15 -- -- კერძო საჩივრებთან ერთად, გადაიგზავნა -- სააპელაციო სასამართლოში.

2.4.. მოსამართლე -- -- წარმოებაში არსებული და დამთავრებული საქმეების სტატისტიკური მონაცემები არის შემდეგი:

- **2017 წელი** - სულ წარმოებაში მიიღო **669 საქმე და დაასრულა 285 (43%);**
- **2018 წელი** (08 თვე) - სულ წარმოებაში მიიღო **328 საქმე და დაასრულა 257 (78%).**

3. საჩივრის (საჩივრების) საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს, საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს, კერძოდ, უნდა შეფასდეს შეიცავს თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს განსახილველ საქმეზე საჩივრის ავტორის მიერ დასახელებული საკითხები.

განსახილველ შემთხვევაში, საჩივრის ავტორი უთითებს ერთი და იგივე მოსამართლის მხრიდან საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურებაზე, კერძო საჩივრების სააპელაციო სასამართლოში გადაგზავნის დაყოვნებაზე და გადაწყვეტილებების სათანადოდ დამოწმებული ასლების გაუცემლობაზე, რომელთა თაობაზეც სასამართლოსთვის მიმართული აქვს განცხადებებით.

განსახილველ შემთხვევაში იმისათვის, რომ სრულყოფილად შეფასდეს საჩივრის საფუძველზე გამოკვლეული ფაქტობრივი გარემოებები შეიცავენ თუ არა მოსამართლის მიერ შესაბამისი დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს, აუცილებელია განისაზღვროს თავისი არსით რას წარმოადგენს - საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება, როდიდან უნდა ჩაითვალოს საქმე გაჭიანურებულად და რას გულისხმობს ტერმინი „უსაფუძვლო“. აღნიშნულ გადაცდომასთან დაკავშირებით, დამატებითი განმარტებებს არ გვაძლევს შიდა კანონმდებლობა, ამასთან, არც სადისციპლინო კოლეგიისა და სადისციპლინო პალატის არსებული გადაწყვეტილებები იძლევა აღნიშნული საკითხის განზოგადების

შესაძლებლობას.

მოსამართლის მიერ საქმის განხილვის შესაძლო უსაფუძვლო გაჭიანურებაზე მსჯელობისას აუცილებელია ყურადღება მიექცეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლს (რომელიც მოიცავს სამართლიანი სასამართლოს მიერ საქმის გონივრულ ვადაში განხილვის უფლებას) და იმ კრიტერიუმებს, რასაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო იყენებს მე-6 მუხლის დარღვევის დადგენის დროს (საქმის განხილვის გონივრული ვადის დარღვევის გამო).

იმისათვის, რომ დადგინდეს საქმე იყო თუ არა გონივრულ ვადაში განხილული მნიშვნელოვანია განისაზღვროს - 1) საქმის სირთულე, რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს, როგორც საქმის ფაქტობრივ, ისე სამართლებრივ სირთულესთან (Katte Klitsche de la Grande v. Italy, §55; Papachelas v. Greece, §39); რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს რამდენიმე მხარის საქმეში ჩაბმასთან (H. V. United Kingdom, §72); მტკიცებულებების გამოკვლევასთან (Human v. Poland, §63) და ა.შ. ამასთან, იმ შემთხვევაშიც როდესაც საქმე თავისი არსით სირთულით არ ხასიათდება, თუმცა ეროვნული კანონმდებლობა არ არის ნათელი ამ გარემოებამაც შეიძლება საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება გამოიწვიოს (Lupeni Greeck Catholic Parish and others v. Romania, §150); 2) მხარეთა მოქმედებები, რაც გულისხმობს მაგალითად, ადვოკატთა ხშირ ცვლილებას (König v. Germany, §103), შუამდგომლობებს, რომელიც გამიზნულია პროცესის გასაჭიანურებლად, ან უბრალოდ დაკავშირებულია გარკვეულ ვადებთან (Acquaviva v. France, §61), ასევე სხვა მოქმედებები, რომელიც უკავშირდება საქმის განხილვის ვადის გაგრძელებას; 3) საქმის განმხილველი მოსამართლის მოქმედებები, ყურადღება უნდა მიექცეს ხანგრძლივი დროის განმავლობაში მოსამართლის მიერ საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობას/ჩაუტარებლობას (Pafitis and others v. Greece; §93; Tiece v. San Marino; §31; Sürmeli v. Germany, §129.)

თუმცა, აქვე ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, საქმის განხილვის ვადა იყო გონივრული თუ არა, უნდა შეფასდეს ყოველ საქმეზე ინდივიდუალურად, საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით (Frydlender v. France, §43) და ერთიანობაში ყველა საპროცესო მოქმედების მხედველობაში მიღების შედეგად (König v. Germany; §98).

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს უფლება აქვს მხარეთა ან აღმასრულებლის განცხადებით, გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობის მიზნით განმარტოს გადაწყვეტილება სარეზოლუციო ნაწილის შეუცვლელად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შინაარსი ბუნდოვანია. განცხადების შეტანა გადაწყვეტილების განმარტების შესახებ დასაშვებია, თუ გადაწყვეტილება ჯერ არ არის აღსრულებული და თუ არ გასულა ვადა, რომლის განმავლობაშიც გადაწყვეტილება შეიძლება

აღსრულდეს. სასამართლო უფლებამოსილია გადაწყვეტილების განმარტების საკითხი გადაწყვიტოს ზეპირი მოსმენის გარეშე. სხდომის ჩატარების შემთხვევაში მხარეებს ეგზავნება შეტყობინება, მაგრამ მათი გამოუცხადებლობა ვერ დააბრკოლებს გადაწყვეტილების განმარტების საკითხის განხილვას.

ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ განცხადებას სასამართლო განიხილავს შეტანიდან 1 თვის ვადაში.

საქმეში წარმოდგენილია -- -- 2017 წლის 26 სექტემბრის ოთხი განცხადება, მოსამართლე -- -- წარმოებაში მყოფი საქმიდან წარსულში მიღებული გადაწყვეტილებების განმარტების თაობაზე. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ორი განცხადება მოსამართლე -- -- გადაეწერა სასამართლოში შეტანიდან ერთი თვის შემდეგ. საქმის მასალების თანახმად, აღნიშნული განცხადებებიდან მოსამართლე -- -- განიხილა მხოლოდ ორი განცხადება 13/02/2018 და მიიღო განჩინება, ხოლო დანარჩენი ორი განცხადების განხილვის დამადასტურებელი შესაბამისი განჩინება საქმის მასალებში არ მოიპოვება. აღნიშნულით გამოირკვა, რომ მოსამართლე -- -- ორი განცხადების განხილვას მოანდომა დაახლოებით სამი თვე, ხოლო დარჩენილი ორი განცხადება არ ყოფილა განხილული 2018 წლის 09 თებერვლის მდგომარეობით (საქმის საქართველოს უზენაეს სასამართლოში გადაგზავნის დროს) - 04 თვისა და 14 დღის ვადაში.

საქმეში დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სრულყოფილი შეფასების მიზნით, შეიცავენ თუ არა მოსამართლის მიერ შესაბამისი პუნქტით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს, აგრეთვე მნიშვნელოვანია, განისაზღვროს, თავისი არსით რას წარმოადგენს - „მოსამართლის მოვალეობის შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება“. აღნიშნულ გადაცდომასთან დაკავშირებით, დამატებით განმარტებებს არ გვაძლევს შიდა კანონმდებლობა, ამასთან, სადისციპლინო კოლეგიისა და სადისციპლინო პალატის არსებული გადაწყვეტილებებიც ნაკლებად იძლევა აღნიშნული საკითხის განზოგადების შესაძლებლობას.

აღსანიშნავია, რომ კანონი აგრეთვე არ აკონკრეტებს თუ რა იგულისხმება მოსამართლის მიერ მოვალეობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებაში, შესაბამისად, ამ საკითხზე მსჯელობისას, უპირველეს ყოვლისა, ყურადღება უნდა გამახვილდეს არის თუ არა საუბარი სამოსამართლო ვალდებულებების შეუსრულებლობაზე ან დაუდევრობაზე, ან უგულისყურო შესრულებაზე, სისტემატიურად და არასაპატიო მიზეზით, რასაც იზიარებს საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობა და სადისციპლინო პრაქტიკა (ესპანეთი, იტალია, ბულგარეთი, რუმინეთი, ხორვატია, მაკედონია და ა.შ.).

უმნიშვნელოვანესია ის გარემოება, რომ მოვალეობის შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება წარმოადგენს არა მხოლოდ მოსამართლის, არამედ საჯარო მოხელეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველს, ისევე როგორც შრომითი ხელშეკრულებით

დასაქმებულ პირთათვის ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველს.

თუმცა, ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ მოსამართლესთან მიმართებაში საკმაოდ რთულია დადგინდეს თუ სად გადის ზღვარი ერთის მხრივ, მოსამართლის სამართლებრივ შეცდომას და მეორეს მხრივ დისციპლინურ გადაცდომას შორის. ვინაიდან, ერთი მხრივ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, კანონის არასწორი განმარტება, რომელსაც საფუძვლად უდევს მოსამართლის შინაგანი რწმენა, არ არის დისციპლინური გადაცდომა და აღნიშნული ქმედებისათვის მოსამართლეს არ ეკისრება დისციპლინური პასუხისმგებლობა, ხოლო მეორეს მხრივ ცალკე დისციპლინურ გადაცდომის სახეს წარმოადგენს მოვალეობის შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება. ამდენად, უმნიშვნელოვანესია განისაზღვროს მოსამართლის რომელი ქმედება უნდა შეფასდეს დისციპლინურ გადაცდომად და რომელი სამართლებრივ შეცდომად.

ამ მიმართებით საინტერესოა, სადისციპლინო პალატის 2016 წლის 21 ივლისის №დს-შ/9-16 გადაწყვეტილება, სადაც პალატამ გააკეთა განმარტება სამართლებრივ შეცდომისა და დისციპლინური გადაცდომის გამიჯვნის კრიტერიუმებთან დაკავშირებით. სადისციპლინო პალატის განმარტებით, კანონის შესაბამისი დანაწესი უნდა განიმარტოს ორი უმნიშვნელოვანესი პრინციპის კანონიერების პრინციპის და მოსამართლის დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების წესის დაცვით. კანონიერების პრინციპი კანონის უზენაესობას ეფუძნება. ეს კონსტიტუციური პრინციპია, რომლის თანახმად, არავის არა აქვს უფლება კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება. დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას კი მოსამართლე ვალდებულია ეს უფლებამოსილება განახორციელოს კანონით დადგენილ ფარგლებში და არ გასცდეს კანონს. სასამართლო ვალდებულია მისთვის კანონით მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილება განახორციელოს კანონის ფარგლებში“. ამდენად, უნდა განიმარტოს, რომ არსებული პრაქტიკის შესაბამისად, მოსამართლის არასწორი მოქმედება/უმოქმედობა, მხოლოდ მაშინ მიიჩნევა დისციპლინურ გადაცდომად თუ ის სცდება მოსამართლისათვის კანონით მინიჭებულ ფარგლებს და არღვევს შესაბამისი კანონის იმპერატიულ მოთხოვნებს.

იდენტური დასკვნა შეიძლება გაკეთდეს ევროპის სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობის და პრაქტიკის (საფრანგეთი, იტალია, ესპანეთი) შედარებითი ანალიზის საფუძველზე, რომლის შესაბამისადაც, მოსამართლის მიერ მოვალეობების შეუსრულებლობად ან არაჯეროვნად შესრულებად შეიძლება ჩაითვალოს მოსამართლის მიერ მხარის კონსტიტუციური, ასევე ფუნდამენტური საპროცესო უფლებების ან სამართლიანი პროცესის ძირითადი გარანტიების დარღვევა, რამაც ზიანი მიაყენა მხარის, სასამართლოს ან საჯარო ინტერესს.

მნიშვნელოვანია, რომ სასამართლოს ხელმისაწვდომობა გულისხმობს არა მარტო სამართალწარმოების დაწყების უფლებას, არამედ, საქმის გადაწყვეტის უფლებასა და

საბოლოო გადაწყვეტილების აღსრულებას. სამართლიანი სასამართლოს უფლება თავის თავში მოიაზრებს სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებას, რომლის საშუალებითაც ხდება დარღვეული უფლებების სრულად აღდგენა.

აქვე ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე აპოსტოლი საქართველოს წინააღმდეგ სასამართლომ განმარტა, რომ მე-6 (§1) მუხლი ნებისმიერ პირს აძლევს შესაძლებლობას, სასამართლოს წარუდგინოს თავის სამოქალაქო უფლებებთან და მოვალეობებთან დაკავშირებული საჩივარი (იხ. Golder c. Royaume-Uni, 21 février 1975, §§ 28-36, série A no 18). სასამართლოსათვის საჩივრის წარდგენის უფლება არ არის თეორიული უფლება და არ უზრუნველყოფს მხოლოდ უფლების აღიარებას საბოლოო გადაწყვეტილების მეშვეობით, არამედ ასევე შეიცავს ლეგიტიმურ მოლოდინს იმასთან დაკავშირებით, რომ გადაწყვეტილება აღსრულდება. მხარეთა ეფექტიანი დაცვა და კანონიერების აღდგენა გულისხმობს ადმინისტრაციული უწყებების მიერ კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ვალდებულებას (იხ. Hornsby, ხსენებული ზემოთ §§ 40 და შემდგომ). სტრასბურგის სასამართლომ მართლმსაჯულების ეფექტიანად აღსრულების გამოჩენაზე ყურადღება გაამახვილა მოცემულ საქმეებში (Vermeulen v. Belgium, § 34; Lobo Machado v. Portugal, § 32). მართლმსაჯულების ცხადად აღსრულება ხელს უწყობს მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფის მიზნის, კერძოდ, სამართლიანი სასამართლოს მიღწევას („დინეტი საფრანგეთის წინააღმდეგ" (Diennet v. France, § 33); „მარტინი საფრანგეთის წინააღმდეგ" (Martinie v. France [GC], § 39)).

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 371-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო საჩივრის შესვლის შემდეგ პირველი ინსტანციის სასამართლო დაუყოვნებლივ, მაგრამ არა უგვიანეს 5 დღისა, გადაუგზავნის სააპელაციო სასამართლოს მთლიანად საქმეს, აგრეთვე დამატებით შემოსულ ყველა მასალას.

„გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, კანონით გათვალისწინებული გადახდისუუნარობის საქმის განხილვისას გამოიყენება ამავე კანონით დადგენილი სპეციალური საპროცესო ნორმები. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, გადახდისუუნარობის საქმის წარმოების მიმართ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ნორმები გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს კანონი არ შეიცავს შესაბამისი საკითხის მომწესრიგებელ სპეციალურ ნორმას. კანონის ანალოგია გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს არ ეწინააღმდეგება ამ კანონის მიზნებს.

„გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ" საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, თუ სასამართლო კერძო საჩივარს დასაშვებად და დასაბუთებულად მიიჩნევს, მაშინ ის აკმაყოფილებს კერძო საჩივარს. წინააღმდეგ შემთხვევაში კერძო საჩივარი საქმის მასალებთან ერთად გადაეგზავნება ზემდგომ სასამართლოს განჩინების გამოტანიდან 5 დღის ვადაში.

საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ -- -- კერძო საჩივრები მოსამართლე -- -- 2017 წლის 25 აგვისტოს და 05 სექტემბრის განჩინებებზე სასამართლოს წარედგინა 2017 წლის 19 სექტემბერს, რაც განხილული იქნა 2018 წლის 22 იანვარს. მოსამართლე -- -- მიერ კერძო საჩივრების დასაბუთებულობის შემოწმებისა და გადაგზავნის გადაწყვეტილების მიღების პერიოდმა შეადგინა 04 თვე და 03 დღე (19/09/2017 – 22/01/2018).

-- -- 2017 წლის 19 სექტემბრის კერძო საჩივრები -- სააპელაციო სასამართლოში გადაიგზავნა 2018 წლის 28 ივნისს, საქმის საქართველოს უზენაესი სასამართლოდან დაბრუნების შემდგომ (გადაგზავნის დრო - 09/02/2018, დაბრუნების დრო - 18/06/2018).

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მხარეები სარგებლობენ თანაბარი საპროცესო უფლებებით. მათ უფლება აქვთ, გაეცნონ საქმის მასალებს, გააკეთონ ამონაწერები ამ მასალებიდან, გადაიღონ ასლები, განაცხადონ აცილებანი, წარადგინონ მტკიცებულებანი, მათ შორის, ექსპერტის (საექსპერტო დაწესებულების) დასკვნები, სპეციალისტის ცნობები, მონაწილეობა მიიღონ მტკიცებულებათა გამოკვლევაში, შეკითხვები დაუსვან მოწმეებს, ექსპერტებს, სპეციალისტებს, სასამართლოს წინაშე განაცხადონ შუამდგომლობები, მისცენ სასამართლოს ზეპირი და წერილობითი ახსნა-განმარტებანი, წარადგინონ იმავე ტიპის საქმეზე სხვა სასამართლოს გადაწყვეტილებანი, წარადგინონ თავიანთი დასკვნები და გამოთქვან მოსაზრებები საქმის განხილვის დროს წამოჭრილ ყველა საკითხზე, უარყონ მეორე მხარის შუამდგომლობები, დასკვნები და მოსაზრებები, გაასაჩივრონ სასამართლოს გადაწყვეტილებები და განჩინებები, წარადგინონ მორიგების აქტი საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე და ისარგებლონ ამ კოდექსით მათთვის მინიჭებული სხვა უფლებებით.

საჩივრის ავტორის მოთხოვნას - საქმეში არსებულ, წარსულში მიღებული გადაწყვეტილებების სათანადოდ დამოწმებული ასლების გაცემასთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს, რომ საქმის მასალების მიხედვით, საჩივრის ავტორმა საქმის მასალების ასლები გადაიღო 2017 წლის 07 აგვისტოს, რითაც მან ისარგებლა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლის პირველი ნაწილით მინიჭებული უფლებით - საქმის მასალების გაცნობისა და ასლების გადაღების თაობაზე, რისი მზაობაც, -- -- განცხადებების პასუხად, კიდევ ერთხელ გამოითქვა მოსამართლე -- -- თანაშემწის 2018 წლის 13 თებერვლის წერილით.

4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგნული კანონის 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის

შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად, მხედველობაში მიიღო საქმის კატეგორია და სირთულე, ამასთან, ის გარემოება, რომ მოსამართლემ საქმეზე განახორციელა არაერთი საპროცესო მოქმედება და მიიჩნია, რომ საქმის განხილვისა და კერძო საჩივრების გადაგზავნის ვადის დარღვევა გამოწვეული იყო მოსამართლის დატვირთულობით. შესაბამისად, 2018 წლის 17 დეკემბრის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობის გადაწყვეტილებით - საქმის განხილვის ნაწილში - 14 წევრთაგან 10 ხმით, ხოლო კერძო საჩივრების გადაგზავნის ნაწილში - 14 წევრთაგან 11 ხმით) მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდა დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით და 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №28/18 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი